



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 108

2018 წელი 14 დეკემბერი

ხაშური




სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარგენილია შესაბამისი პროგრამა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი 785 000 ლარის ოდენობით დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის 9 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. განკარგულება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაშისარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

პროგრამის სათაური	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა
პროგრამის მიზანი	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა
პროგრამის რეგულირების სფერო	მკურნალობის, მედიკამენტების, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების თანადაფინანსება; ერთჯერადი ფულადი დახმარება.
პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე, ბენეფიციარები	სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, რომელთა მკურნალობის/გამოკვლევის/მედიკამენტების ხარჯები არ ფინანსდება ან სრულად არ ფინანსდება დაზღვევით ან საყოველთაო ჯანდაცვის სახ. პროგრამით; უმწეო მდგომარეობაში მყოფნი, ხელმოკლე და სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობა (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, სტუდენტები, მოსწავლეები, დევნილები, ომის მონაწილენი და ომში დაღუპულთა ოჯახები, მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები, ხანძრით და სხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულნი) №1 დანართის შესაბამისად.
ბენეფიციართა სავარაუდო ოდენობა	2000 პირი/ოჯახი
პროგრამის მოქმედების ვადა	ერთი წელი
პროგრამის დაწყების თარიღი	01.01.2019 წ.
პროგრამის დასრულების თარიღი	31.12.2019 წ.
გასაცემლის პერიოდულობა	ერთჯერადი
პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური თანხის ოდენობა	არ არის განსაზღვრული
პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მაქსიმალური თანხის ოდენობა	3 000 ლარი
პროგრამის ბიუჯეტი	785000 ლარი
დაფინანსების წყარო	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი
პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე	მარტივი
სოციალური დახმარების მიღების ფორმა	უნაღდო ანგარიშსწორება
გადაწყვეტილების მიმღები პირი/ორგანო	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

პროგრამის ადმინისტრირების (მისი მართვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის)
წესები და პირობები

განაცხადის მიღებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო:

საქმისწარმოების განყოფილება

განაცხადის დამუშავებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო:

საქმისწარმოების განყოფილება

საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო:

ა) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
უზრუნველყოფის სამსახური შესაბამის ადმინისტრაციულ
ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთობლივად

ბ) ეკონომიკური განვითარების სამსახური სახანძრო-
სამაშველო სამსახურთან და შესაბამის ადმინისტრაციულ
ორგანოში მერის წარმომადგენელთან ერთობლივად
(ხანძრით და სხვა სტიქიური მოვლენებით
დაზარალებულთა მიმართებით)

გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

ა) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
უზრუნველყოფის სამსახური

ბ) ეკონომიკური განვითარების სამსახური (ხანძრითა და
სხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულთა
მიმართებით)

გადაწყვეტილების პროექტის ვიზირებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

მერის მოადგილეები, საბიუჯეტო სამსახური

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური

გადაწყვეტილების აღსრულებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-
ანგარიშების განყოფილება

პროგრამის ზედამხედველობაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

მერის მოადგილე (სოციალური სფეროს კურატორი)

პროგრამის პერიოდულ მონიტორინგზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო:

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
უზრუნველყოფის სამსახური

პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. მაძიებლის/წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მაძიებლისა და წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ქსეროასლები;
3. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
4. განცხადებით მოთხოვნილი სოციალური დახმარების შესაბამისად:
 - ა) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა № IV- 100/ა;
 - ბ) ექიმის დანიშნულება;
 - გ) ანგარიშ-ფაქტურა კალკულაციით - მომსახურების/მედიკამენტების ღირებულების შესახებ;
 - დ) სოციალური სტატუსის (პენსიონერი, შშმ პირი, მრავალშვილიანი, დევნილი და ა.შ.) დამადასტურებელი საბუთის ქსეროასლი;
 - ე) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის რეკომენდაცია- პირის/ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მაძიებლისათვის სოციალური დახმარების გაწევის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ირიცხება სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში);
 - ვ) საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი ინფორმაცია.

სოციალური პროგრამით სარგებლობის დამატებითი პირობები

1. განაცხადის შეტანაზე უფლებამოსილი პირები: ოჯახის ნებისმიერი, სრულწლოვანი წევრი (ფიზიკური პირი);
2. ოჯახის წევრებს მიკუთვნების პრინციპი: ერთ მისამართზე მცხოვრები პირები, რომელთაც აქვთ შემდეგი ნათესაური კავშირი: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, შვილი, შვილიშვილი, ცოლი, ქმარი, და, ძმა.
3. წარმომადგენლის დაფიქსირების ფორმა: განმცხადებლის მიერ დაფიქსირებული პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ოჯახის წევრის მიკუთვნების პრინციპებს.
4. წარმომადგენლის ცვლილების პირობა: განმცხადებლის ან ბენეფიციარის მიმართვის საფუძველზე.
5. საკონტაქტო პირის დაშვების ფორმა: ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც მითითებული იქნა განმცხადებლის მიერ განაცხადის შევსების პროცესში.
6. საკონტაქტო პირის ცვლილების პირობა: საკონტაქტო პირის, განმცხადებლის ან ბენეფიციარის მიმართვის საფუძველზე.
7. განაცხადის ტიპური, წერილობითი ფორმა: რეგულირდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით.

მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესი, პირობები და მონაწილე მხარეები

ფულადი სოციალური დახმარების გაწევის თაობაზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილება აღსრულდება მერის საბიუჯეტი სამსახურისა და ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგების განყოფილების მიერ მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

გამონაკლისი და გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევები

გამონაკლისის და/ან გადაუდებელი აუცილებლობისას საქმეზე გადაწყვეტილების მიღება ხდება დაჩქარებული წესით, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

გამონაკლისის და/ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს ან პირის მიერ გაცემული ცნობით.

გამონაკლისის და/ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში თანხის ანაზღაურება მერის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით სრულდება 300 ლარის ფარგლებში პროგრამის ბიუჯეტიდან. დამატებითი სახსრების გაღება დასაშვებია მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველზე.

დანართი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლე პირთა სია

N	დახმარების სახე	ზემეფიციარები	სოციალური სტატუსი (ქულა)	სოციალური დახმარების მიზნობრიობა, მოცულობა	წარმოსადგენი დოკუმენტაცია
1	ქრონიკული დაავადებების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	<p>ა. ეტილფესითი დაავადებულები;</p> <p>ბ. პარკინსონიზმით დაავადებულები;</p> <p>გ. ინკოლოგური ავადმყოფები;</p> <p>დ. დაუნის სინდრომით დაავადებულები;</p> <p>ე. ინსულტით დაავადებულები;</p> <p>ვ. კომოფილით დაავადებულები;</p> <p>ზ. ლეიბლის ციროზით დაავადებულები;</p> <p>თ. ავადმყოფები სისტემური დაავადებით;</p> <p>ი. ეტილემის შედეგად დაავადებულები;</p> <p>კ. პარკინსონიზმით დაავადებულები;</p> <p>ლ. ბრონქული ასთმით დაავადებულები;</p>	<p>1. ა-ი 0-100 000</p> <p>კულ ---0</p>	<p>1. ა-ი მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში;</p> <p>2. კულ მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 300 ლარის ფარგლებში.</p>	<p>1. განცხადება მერის სახელზე;</p> <p>2. პირადობის მოწმობის ასლი;</p> <p>3. ფორმა №IV-100/ს;</p> <p>4. ექიმის დანიშნულება;</p> <p>5. წინასწარი ანგარიშგაქურა, კალკულაციით აფთიაქიდან;</p> <p>6. ა-ი ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან;</p>
2	ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვების/მოზარდების რეაბილიტაცია	<p>სქოლიოზით დაავადებული ბავშვები/მოზარდები, ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები (მზავფე);</p>	0-100 000	სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 300 ლარის ფარგლებში	<p>1. განცხადება მერის სახელზე;</p> <p>2. მამიბლის/წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;</p> <p>3. ბავშვის/მოზარდის პირადობის ან დახმარების მოწმობის ასლი;</p> <p>4. ფორმა №IV-100/ს;</p> <p>5. ანგარიშგაქურა, სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან;</p> <p>6. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან;</p>
3	ენდოკრინოლოგიური დაავადებებით დაავადებულ ბავშვთა/მოზარდთა დახმარება	<p>ენდოკრინოლოგიური დაავადების, რომელიც არ ფინანსდება დაზღვევით ან განუდაცვის სახელმწიფო პროგრამით, მქონე ბავშვები/მოზარდები (10 ბავშვი);</p>	0-100 000	მკურნალობის ღირებულების დაფინანსება 100 %-ით, მაგრამ არა უტეხს 300 ლარის;	<p>1. განცხადება მერის სახელზე;</p> <p>2. მამიბლის/წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;</p> <p>3. ბავშვის/მოზარდის პირადობის ან დახმარების მოწმობის ასლი;</p> <p>4. ფორმა №IV-100/ს;</p> <p>5. ექიმის დანიშნულება;</p> <p>6. წინასწარი ანგარიშგაქურა, კალკულაციით აფთიაქიდან/სამედიცინო დაწესებულებიდან;</p> <p>7. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან;</p>

4	ფენილკეტონურიით დაავადებული ავადმყოფების დახმარება	ფენილკეტონურიით დაავადებულები	-----	<p>ვილაგმოვილი კვიტის პროდუქტების ღირებულების თანდაფინანსება 500 ლარის ფარგლებში</p>	<p>1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ს; 4. აქტის დანიშნულება; 5. საბავშვო სასაბავშვო ცენტრის მიმართული ორგანიზაციის ფინანსური დახმარების და ამ ორგანიზაციის საბავშვო რეკვიზიტები;</p>
5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	<p>ა) მცვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირები; ბ) მცვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებიც დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებენ და/ან საჭიროებენ მიმღებელს; გ) მცვეთრად ვერ გადაადგილდებიან და საჭიროებენ მიმღებელს;</p>	0-100 000	<p>300 ლარი მათ შორის მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში</p>	<p>1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. საბავშვო-საექსპერტო კომისიის დასკვნის ასლი; 4. უქმის დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშგაქვანა კალკულაციით ავთოკლადან; 6. ამინაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან; 7. საბავშვო დაწესებულებაში გახშირებული პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;</p>
6	დედ-მამით იბოლი ბავშვების/მოზარდების დახმარება	18 წლამდე(წათვლით) დედ-მამით იბოლი ბავშვები/მოზარდები	—	<p>ა) ბავშვთა სურათშირისი დედასთან – 1 ოჯახთან დაკავშირებით-300ლარი; ბ) ბავშვთა სურათშირისი დედასთან – 300ლარი; გ) ბავშვთა სურათშირისი დედასთან – 300ლარი; დ) ბავშვთა სურათშირისი დედასთან – 300ლარი; ე) ბავშვთა სურათშირისი დედასთან – 300ლარი;</p>	<p>1. მუცლის(მზრუნველის) განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ბავშვის/მოზარდის პირადობის/დაბადების მოწმობის ასლი; 4. დედას სწავლის სრული კურსის დამთავრებასთან დაკავშირებით; 5. ბავშვის/მოზარდის მუცლის საბავშვო დაწესებულებაში გახშირებული პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;</p>
7	ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	<p>1. ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას ქირურგიულ მარცხს; 2. ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას ქირურგიულ მარცხს; 3. ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას ქირურგიულ მარცხს; 4. ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას ქირურგიულ მარცხს;</p>	<p>1. 0-100 000 2. ----- 3. 0-100 000 4. -----</p>	<p>1. დაუფინანსებელი თანხის 50%, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარის; 2. დახმარების გაცემის შესაძლებლობა, მაგნიტური რეზონანსის (MRI) გამოყენებისთვის 2000 ლარის) განსაზღვრავს მუცლის საბავშვო ცენტრის მიერ დაფინანსებული თანხის 50%, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარის 3. დაუფინანსებელი თანხის 50%, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარის 4. დაუფინანსებელი თანხის დაფინანსება, მაგრამ არა უმეტეს 400 ლარის</p>	<p>1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა №IV-100/ს; 4. წინასწარი ანგარიშგაქვანა კალკულაციით სამედიცინო დაწესებულებიდან; 5. ამინაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან (პ.13); 6. საყოველთაო ჯანდაცვის სახ. პროგრამის მართვის დეპარტამენტის ან სადაზღვევო ორგანიზაციის წერილი (გადაწყვეტილება) ავადმყოფის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მოვალეობის შესახებ."</p>

8	<p>ბელმოცლე სტუდენტების დახმარება</p> <p>მიცვალულთა სარიტუალო მომსახურება</p>	<p>ა) აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ხელმოცლე სტუდენტები ; ბ) საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში აგრეთვე საქართველოს შეიარაღებულ ძალისა და მზადგან საქმეთა ორგანოებში სამსახურებრივი მივალობის შესრულების დროს დაღუპულთა შვილები (სავარაუდო კონტინგენტი – 150 სტუდენტი)</p>	<p>ა 10-65 000; ბ) 0</p>	<p>სწავლის ქირის დაფინანსება 800 ლარის ფარგლებში</p>	<p>1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. სტუდენტის ბილეთის ასლი (ან ცნობა სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ); 4. ანგარიშზე ჩქურა გადასახდელი სწავლის ქირის ოდენობის შესახებ; 5. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა პაზიდან; 6. მშობლის დაღუპვის გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტები (პ.პ.);</p>
9	<p>მიცვალულთა სარიტუალო მომსახურება</p>	<p>1) ომის ვეტერანები ვეტერანის მოწმობის მიხედვით: ა) მცირე მსოფლიო ომის მონაწილეები (კოდეზი-958 100, 958 111, 958 112, 958 113); ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილეები (კოდეზი- 958 300; 958 311; 958 312; 958 313); გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილეები (კოდეზი-958 200, 958 211; 958 212, 958 213); დ) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეები (კოდეზი-958 800, 958 811, 958 812, 958 813); 2) დევნილის მოწმობის მიხედვით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილები; 3) უპატრონო მიცვალულნი</p>	<p>—</p>	<p>250 ლარი - დაკრძალვის ხარჯებისათვის.</p>	<p>1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ვეტერანის ან დევნილის მოწმობის ასლი; 4. ცნობა გარდაცვალების შესახებ; 5. დაკრძალვის ხარჯების მიღების პირის საბანკო ანგარიშის რეგვიზიტები; 6. ადმინისტრაციულ ერთეულში გარდაცვლის წარმომადგენლის ინფორმაცია გარდაცვლის უპატრონობის შესახებ (პ.3);</p>
9	<p>ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების სოციალური დახმარება</p>	<p>1) მცირე მსოფლიო ომის მონაწილეები (კოდი 958 100); 2. ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდები (კოდეზი-958 311; 958 312; 958 313); ბ). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ინვალიდები (კოდეზი-958 811; 958 812; 958 813) 3. ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახის წევრი (კოდი-958 501); ბ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრი (კოდი-958 502);</p>	<p>1) ფაშაზაძე გამარჯვების დღესთან- მასთან დაკავშირებით - 300 ლარი (ბ1); 2) საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან- 26 მასთან დაკავშირებით - 300 ლარი (ბ2,3);</p>	<p>ბენეფიციართა კონტინგენტი და მათ საბანკო (საქმსო) ანგარიშებს აზუსტებს უანტიუპობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური</p>	

11*	ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება	ამონდივილიტების ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები; ბოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლის ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებს ხანძარმა არსებითი ზიანი მიაყენა	---	ა) სახლის (საბურავის) აღდგენისათვის საჭირო მასალების (ხის მასალა, შიფერი) ღირებულება - არა უტეცს 3000 ლარისა; ბ) 500 ლარი;	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. დასკვნა ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ხარისხის შესახებ; 4. სახანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;
12	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები (კოდები - 958 100, 958 111, 958 112, 958 113);	-----	მედიკამენტების ღირებულების დაფინანსება 100 ლარის ფარგლებში	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ვეტერანის მოწმობის ასლი; 4. ცერების დანიშნულება; 5. წინასწარი ანგარიშგაქვურა კალკულაციით აფთიაქიდან.
13	ასი და მეტი წლის უზუენესთა დახმარება	ასი და მეტი წლის უზუენესთა	---	500 ლარი, მათ შორის 100 ლარი მედიკამენტებისათვის	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი. 3. მკურნალობის დანიშნულება. 4. წინასწარი ანგარიშგაქვურა კალკულაციით აფთიაქიდან. 5. სახანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;
14	მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი) დედების დახმარება	მრავალშვილიანი დედები	---	ა) მძიმდნარე საბიუჯეტო წელს დახმარებული მე-4 შვილზე 400 ლარი; მე-5, მე-6 და ა.შ. შვილზე 500 ლარი; ბ) დედის დღესთან დაკავშირებით - 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 100 ლარი.	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ყველა შვილის დაბადების მოწმობის ასლი; 4. სახანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

15	კვების პროდუქტების სადღესასწაულო პაკეტი	ამერიკიანული რეგისტრირებული დენრილია ოჯახები; ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახები	ა) - 0 ბ) - 20 000	კვების პროდუქტების პაკეტი 50 ლარის ფარგლებში	ბენეფიციართა კონტინენტს აზუსტებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური; კვების პროდუქტების პაკეტში შესაძენი პროდუქტების წამათავსებელი და საბაზრო ღირებულებას აზუსტებს საბიუჯეტო სამსახური და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილება."
16	სასჯელსრულელების დაწესებულებიდან განთავსდებულ პირების რესოცილოზაცია	2018 წლის 1 იანვრიდან გაწეული პერიოდში სასჯელსრულელების დაწესებულებიდან განთავსდებულ პირები, რომლებსაც არ არიან დასაქმებული და მათი ოჯახები განიცილებიან ციხეში სოციალური სიღატაკის	----	ფულადი დახმარება 200 ლარის ფარგლებში	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ცნობა სასჯელსრულელებიდან განთავსდებულ პირების შესახებ; 4. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები; 5. ადმინისტრაციული ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის რეკომენდაცია;
17	თირკმლის დიალიზზე მყოფი ავადმყოფების დახმარება	მეზავრობის ღირებულების დაფინანსება საკურო პროცედურის ჩასატარებლად		ფულადი დახმარება 500 ლარის ფარგლებში	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა #IV-100/ა; 4. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;
18	უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი ბინის ქირა უზრუნველყოფა	ხაშურში, სააკაბის ქ. N2-დან გამოსახლებული (ყოფილი რეკონსტრუქციის საავადმყოფოს შენობა) და უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები		180 ლარამდე თითოეული ოჯახისათვის 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი ანგარიშის რეკვიზიტები; 4. ამონაწერი საჯარო რეესტრში; 5. ხელმოწერული ბინის ქირავნობის შესახებ.
19	დღის მოვლის ცენტრის სოციალური დახმარება			კომუნალური (გაზი, დენი) გადასახადის დაფარვა წლის განმავლობაში	1. განცხადება მერის სახელზე; 2. ამონაწერი საჯარო რეესტრშიდან; 3. კომუნალური გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები.
20	მენიჯიკალიტეტის სოფლებში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების უფასო მეზავრობის უზრუნველყოფა	სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელები		1. კმ-ის სავარაუდო ღირებულება 1 ლარი	ბენეფიციართა კონტინენტს აზუსტებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური და ასაკობრივი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბიუჯეტო ბალანსის გაერთიანება; ასანაზღაურებელ თანხას აზუსტებს საბიუჯეტო სამსახური.
21	შენიშვნა : * - საკითხზე დასკვნას აწვდის ეკონომიკური განვითარების სამსახური, სახანძრო-სამაგველო სამსახურთან და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად				